



# საქართველო

პროფესიული თავისუფლებისაკენ!  
პროფესიული თავისუფლებისაკენ!

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი  
ბამდომდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილდა 1989 წელს.

№ 9 (1447)

29.III-4.IV, 1996 წ.

## „ბამონილი“ აღაპიანთა პროტრეტები



**ნუსტან პირთაძე**

„სადაც ვრცელდება თუ არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია შიდა ქართლისა და აფხაზეთის ჩათვლით, უკვე ერთპიროვნულად მაქვს მონიტჰებული „მის საქართველოს პარლამენტის ტიტული“...“

მე ვარ უკონკურენტო, ყოველ შემთხვევაში, მიმდინარე ოთხი წლის განმავლობაში მაინც. მერე შეიძლება უფრო ლამაზებიც მოვიდნენ. მე ასე პროცენტით ვაფასებ ნუსტანის ხიბლს, როგორც ფიზიკურს, ისე გონებრივს და ნამდვილად ასე პროცენტით შემიძლია გითხრათ, რომ ნუსტან კირთაძე არის ნამდვილად უკონკურენტო საქართველოს პარლამენტში და მთელს ამიერკავკასიაში“.

ეს მშვენიერი სიტყვები ეკუთვნის თვით ნუსტან კირთაძეს. იხ. გაზ. „ქალი და მამაკაცი“ 25-31 იანვარი.

„ქართველი პოლიტიკოსები ადრე მოსკოვში საქმეს რუსი ქალებით აკეთებდნენ, ახლა, პირიქით, ამისათვის ქართველ ქალებს აგზავნიან“.

ვლადიმერ შირინოვსკი

**კომენტარი ანდაზით:**

პატარაძე (ნუსტანა) თქვაო — თუ მკლავთ, მომკალით თუ არა და მეძინებაო...




**იზა ორჯონიკიძე**

ვისთანაც შემიცოდავს, ყველას გვარი და სახელი პასპორტში მიწერია, რა უნდათ ამ უსვინდისოებს?

იზა ორჯონიკიძის საყვარელი ფორმულა

**კომენტარი ანდაზით:**

ქალმა (იზამ) თქვა: სანამდის ღმერთი (მთავრობა) მწყალობდა, ცხრა დიაკვანი მყვარობდაო“...



**გაზა, იგივე ალექსი ბერიძე**

ერთმა ყურნალისტმა მანდილოსანმა გაზეთ „დერიტაში“ ინტერვიუ დაბეჭდა ბორჯომის გამგებელ ვაჟა, იგივე ალექსი ბერიძესთან ერთად „აღსატიკინებელი“ სათაურით — „თუ გინდა სიბო და აღერსი, მოძებნე ბერიძე ალექსი“.

ალექსი ვერა, მაგრამ მის ინტერვიუში კი დიდი სისულელე მოვებნე. კერძოდ, პრეზიდენტთან არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელობამ კანონი შეიმუშავა იმასთან დაკავშირებით, რომ გამგებელი შეთავაზებით ბიზნესში არ უნდა მუშაობდეს.

ეს დალოცვილები თუ ჩემთვის წერენ ამ კანონებს, მე ისედაც არ მჭირდება გადართილება, საუბედუროდ, ბიზნესი ისე ვიცი, როგორც ბორჯომის გამგებელმა წერა-კითხვა. რაკი გამგებელია, ცხადია, კანონის მოთხოვნა სწორედ მას ეხება, არადა, მისი ინტერვიუს მიხედვით გამგებელი ამ კანონის შემოქმედთ ისე მიმართავს, როგორც თავის დროზე ალ.ყაზბეგმა დაუწერა იმპერატორს — დაეწვი თქვენი სამართალი, თქვენი კანონდებულებაო. პათოსი იგივეა, ოღონდ, ცხადია, ალექსი ამ აზრს სხვა სიტყვებით გამოხატავს. კერძოდ, იგი ამბობს: „ბორჯომში ჩემს დაბრუნებას სულ სხვა ინტერესი ჰქონდა. იცით, ჩემს თაობაში არის ისეთი რამ, რომ დღეს უკვე ვერ მიატოვებ საქართველოს ვიღაც უპკუო კაცის მმართველობის დონეზე“.

მაგრამ, ეს სრულადაც არ ნიშნავს, რომ მე მოვწედი ბიზნესს და გამგებლის კუთვნილი ხელფასით ვაპირებ ოჯახის შენახვას“.

გაზ. „დერიტა“ დეკემბერი 1995 წ.

ვაჟა ანუ ალექსოს პირდაპირობამ ეს მშვენიერი ქართული ანდაზა გამაახსენა —


„გიყი ქორწილში შევიდა, ჩვენს სახლს აქა სჯობნებიაო“. ამ ანდაზის პერიფრაზით კი თუ გიყის ადგილზე ალექსოს ვიგულისხმებთ, ქორწილის ნაცვლად კი გამგებობას, ასეთი კომენტარი გაკეთდება:

ალექსო გამგებობაში შევიდა, ბიზნესის კეთება აქედან სჯობნებიაო...

თბილისის მერია მოსახლეობას პირდება, რომ შემოიტანენ გაზის აღმრიცხველ აპარატებს, რომელთა ღირებულება ასეულ ათასობით დოლარია.

სპეციალისტი კი ამტკიცებს, რომ ეს წყალში გადაყრილი ფული იქნება და მოსახლეობა გაზს მაინც ვერ მიიღებს. ყველა ჩვენთავანისათვის ამ სასიცოცხლო პრობლემაზე კომპეტენტური პირის მიერ დაწერილი წერილი

**«თბილისი მოკვლევილი გაზსაღენების  
ფყალრებით ვულკანზე ღბას».**



იხილეთ მე-5 გვერდზე









**თბილისი**  
**მოძველებული**  
**გაზსადენების**  
**წყალობით**  
**ვულკანზე დგას**

მე-6 გვერდიდან

ხდიდეთ ხელფასის 3%-ს ყოველ-  
 თვიურად ე.წ. „დასაქმების  
 ფონდს“, როდესაც ჩვენი პერსო-  
 ნალის 80% დაუსაქმებელია და  
 მეორე წელია იძულებით უხელ-  
 ფასო შევებულემაში იმყოფება? ან  
 რა საშუალებით ვფრთხობთ კაბა-  
 ლური 37% სოცდაზღვევას? ჩვენი  
 უმუშევარი (დროებით იძულებით  
 უხელფასო შევებულემაში მყოფი)  
 პერსონალი ვერავითარ დახმარე-  
 ბას ვერ ღებულვს ამ ფონდები-  
 დან, რადგან უმუშევრის სტატუ-  
 სსაც კი არ ექვემდებარებიან.

ერთი სიტყვით, მდგომარეობა  
 მძიმე და რთულია, ჩვენი მეურნე-  
 ობა მრიცხველების შექმნით ამ სი-  
 ძნელებს თავს ვერ დააღწევს. ალ-  
 ბათ, საჭიროა ხელისუფლებამ, თუ  
 მას საერთოდ სჭირდება გაზის მე-  
 ურნეობა, გამოიხატოს საშუალება  
 გაზიფიკაციისათვის უპროცენტო  
 გრძელვადიანი სესხის ან ერთჯე-  
 რადი დახმარების გამოსაყოფად,  
 რომელიც მრიცხველების შექმნას  
 კი არ მოხმარდება, არამედ უფრო  
 საჭირო და აუცილებელი საქმიან-  
 თვის გაინარჩება.

მრიცხველების საკითხი მოი-  
 თმენს. ვერ გაზის მეურნეობა უნ-  
 და წამოვაყენოთ ფეხზე. უზრუნ-  
 ველყოთ წარმოება-დაწესებუ-  
 ლებებისათვის (რომლებშიც დიდი  
 ხანია დამონტაჟებულია გაზის სა-  
 მრეწველო მრიცხველები) გაზის  
 უსაფრთხო მიწოდება და ამით შე-  
 მოსაველების ზრდა. გარკვეულ პე-  
 რიოდში გაზის მეურნეობა უნდა  
 მაქსიმალურად განთავისუფლდეს  
 ამდენი სახის გადასახადებისაგან.

ჩვენს დანგრეულ და გაძარ-  
 ცულ მეურნეობას აღდგენა და  
 წელში გამართვა ესაჭიროება.  
 როდესაც ამას მოვახერხებთ, მა-  
 შინ ვიფიქროთ გაზის მრიცხველ-  
 ბზეც. ოღონდ ისე არა, როგორც  
 ზოგიერთს მიაჩნია ეს, კერძოდ მა-  
 თი საზღვარგარეთიდან შემოტა-  
 ნით. განა ურიგო იქნება მრიცხვე-  
 ლების მწარმოებელ ფირმასთან  
 ქარხანა „თბილხელსაწყომ“ ერ-  
 თობლივი საწარმო შექმნას და  
 მრიცხველები აქ, ჩვენი დაამზა-  
 დონ, ეს ხომ მრიცხველებსაც გაა-  
 იაფებს და სამუშაო ადგილებსაც  
 შექმნის?

უკანასკნელი 5-6 წლის განმა-  
 ვლობაში ჩვენი ეკონომიკური პო-  
 ლიტკით (თუ ასეთის არ არსებო-  
 ბით) ჩრდილო-აღმოსავლეთ თურ-  
 ქეთის რეგიონი, რომელიც ყოველ-  
 თვის ჩამორჩენილ მხარედ ითვლე-  
 ბოდა მთელს თურქეთში, საოცრად  
 ავადორძინეთ, იქითკენ გავზიდეთ  
 რისი დაძვრაც შეეძლო.


ასეთ ვითარებაში სტრატეგი-  
 ული შეცდომის დაშვების უფლე-  
 ბა აღარ გვაქვს. ან უნდა დავსახოთ  
 რეალური პროგრამა გაზის მეურ-  
 ნეობის გადასარჩენად და აღსად-  
 გენად საჭირო სახსრების მოძიე-  
 ბით, ან უარი უნდა ვთქვათ გაზ-  
 მომარაგებაზე, და ეს მაშინ, რო-  
 დესაც ქართული გაზის მოპოვება  
 დღითიდღე რეალური ხდება.

ნუზგარ მხეიძე

ტრესტ „თბილგაზის“  
 გასსადენების  
 სამმართველოს უფროსი

# ბირჩხვთ

## თქვენი ვაუჩერი დაახანდოთ...



- სად?

- აი, სად!..

საქციო საზოგადოება პრივატიზაციის სპეციალიზებული (საბარათო) საინვესტიციო ფონდი „ქართული კაპიტალი“ დაარსდა 1995 წლის 18 ივლისს და რეგისტრირებულია ქ.თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს მიერ სარეგისტრაციო ნომრით 5/5-1. ფონდი დიკენწირებულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ 1995 წლის 9 აგვისტოს, სარეგისტრაციო ნომრით 1-3/686.

საინვესტიციო ფონდის დამფუძნებელთა შორის არიან ადამიანები, რომლებიც გამოირჩევიან უმაღლესი პროფესიონალიზმით და პატიოსნებით. მათ იცნობს მთელი საქართველო. ამ ადამიანთა სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში რეფორმები. ვერავინ იტყვის, რომ რომელიმე მათგანს თანამდებობრივი მდგომარეობა გამოეყენებინოს პირადი სიმდიდრის მოსახვეჭად. ფონდის დამფუძნებლები არიან ბიზნესმენები, პოლიტიკოსები, მეცნიერები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები, სხვადასხვა დარგის წამყვანი სპეციალისტები.

საინვესტიციო ფონდი „ქართული კაპიტალი“ თქვენს სარეგისტრაციო ბარათს (ვაუჩერებს) ცვლის თავის 5 აქციაში. აქცია ანიჭებს მის მფლობელს ხმის უფლებას აქციონერთა ყველა კრებაზე და აქციების რაოდენობის პროპორციულად იღებს მონაწილეობას ფონდის მოგების ან სხვა ქონების განაწილებაში.

ფონდი ვაუჩერებს განთავსებს სხვადასხვა დარგის პერსპექტიულ საწარმოებში. მას შემდეგ, რაც თქვენ გახდებით „ქართული კაპიტალის“ აქციონერი, თქვენ იქნებით ერთდროულად რამდენიმე ათეული საწარმოს რეალური მეწილე.

ფონდმა გასული 1995 წლის განმავლობაში შეისყიდა ისეთი პერსპექტიული საწარმოების აქციები, როგორცაა:

- რუსთავეცემენტი
- „ცუმი“ (ცენტრალური უნივერსალი)
- ბუჟუჟესი
- სენაკის ხალიჩების კომბინატი
- დიდუბის ავტოსადგური
- თბილმარგარინმრეწვი
- თბილრძე „დერიტა“
- ხაშურის მინის ტარა
- ფოთის მაცივარკომბინატი
- „ხირსა“ (სიღნაღის მეღვინე. საწ.)
- სასტუმრო „აჭარა“
- სასტუმრო „ივერია“
- ფოთის წისქვილქარხანა
- „ისანი“ (ფეხსაცმლის ფაბრიკა)
- თბილისის მოდელური ფეხსაცმლის ფ-კა
- აგრომრეწვებანი
- მცხეთის ღვინის ქარხანა
- ფოთის ნავთობპროდუქტი
- ახმეტის ბიოქიმიური ქარხანა
- „კახეთი“
- „ენისელი“ (კონიაკის საწარმო)
- „ეკრანი“ (თბილისის ტელევიზორების ქარხანა)
- „ბიოფაგი“
- „თბილქიმფარმი“
- „თბილღვინო“
- „გაჯი“ (გარდაბნის გაჯის ქარხანა)... და სხვა

სულ ფონდს განთავსებული აქვს თავისი აქციები 87 საქციო საზოგადოებაში. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. ნუ გაუშვებთ შანსს გახდეთ ზემოთ ჩამოთვლილი და ფონდის მიერ მომავალში შესყიდულ საწარმოთა მეწილე.

ნუ გადადებთ ვაუჩერის აღებას და მის განთავსებას საინვესტიციო ფონდ „ქართული კაპიტალის“ აქციებში, რადგან ნაკლები შესაძლებლობა გექნებათ გახდეთ მომგებიანი საწარმოთა მეწილეები.

თუ თქვენ ვერ გადაგივტყობთ სად დაახანდოთ ვაუჩერები, რჩევისათვის მიმართეთ ფონდის ექსპერტებს.

ფონდისა და მისი საქმიანობის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ფონდის ცენტრალურ ოფისში და მის ფილიალებში.

თუკი დღეს ქართულ ბიზნესში ნდობის ხარისხზე შეიძლება დაპარაკი, ვის შეიძლება ენდოთ, თუ არა „ქართული კაპიტალის“ დამფუძნებლებს.

გაცვალეთ თქვენი ვაუჩერი „ქართული კაპიტალის“ აქციებში!

თქვენი ვაუჩერის გაცვლა საინვესტიციო ფონდ „ქართული კაპიტალის“ აქციებში შეგიძლიათ ცენტრალურ ოფისში ან ფონდის ფილიალებში.

მისამართი:

ცენტრალური ოფისი: ქ.თბილისი, ზანდუკელის №16,  
 (ქოზილი ჯავახიშვილის ქუჩა)

ვაუჩერების მიმღები პუნქტი: თბილისი, ვუკოლ ბერიძის ქ.№6  
 (საზონდო ბირჟის ოფისი).



